საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა მინისტრი

ბრძანება № 1395

ქ. თბილისი

„20" 04 2018 წ.

საგრანტო პროგრამის დამტკიცებისა და საგრანტო კომისიის შექმნის თაობაზე

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის N246 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის" მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, მე-7 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა და მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 20 აპრილის N 02-02/04-3525 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა" - საგრანტო პროგრამა N 002-2018 დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში, საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღებისა და განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის

მიზნით, სამინისტროში შეიქმნას საგრანტო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) შოთა რეხვიაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ირაკლი კოკაია - მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ნინო მესხი - მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) ირაკლი ლომიძე - მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ე) რუსუდან ასათიანი - მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) კობა სელიმაშვილი - საფინანსო დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) გიორგი ბეგიაშვილი - იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

თ) ქეთევან მახარაშვილი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, კომისიის წევრი;

ი) მარატ ატამურადოვ - რეგიონული პროგრამის ხელმძღვანელი; გლუკის რეგიონული წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) (UNHCR), კომისიის წევრი;

კ) თამარ კიკვიძე - ENIGMMA პროექტის ოფიცერი; მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), კომისიის წევრი;

ლ) ნიტა თოდრია - მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

3. ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველომ (მ. გორდულაძემ) უზრუნველყოს ამ ბრძანების ასლის მიწოდება კომისიის წევრებისათვის.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს შოთა რეხვიაშვილს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი სოზარ სუბარი

საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

საგრანტო პროგრამა # 002-2018

2018 წელი

1. საგრანტო პროგრამა

საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა

2. საგრანტო პროგრამის ბიუჯეტი

მთლიანი ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაფინანსება	სხვა დონორი
50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი	50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი	0 (ნული) ლარი

3. საგრანტო პროგრამის რეზიუმე

ა) საგრანტო პროგრამის დასაბუთება

რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა ასახვა ჰპოვა საქართველოზეც და ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში თავშესაფრის მოთხოვნით სახელმწიფოს მომართა 5 858 უცხო ქვეყნის მოქალაქემ. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში საერთაშორისო დაცვით სარგებლობს 1477 პირი. ნაკადის ზრდასთან ერთად, სახელმწიფოსათვის დღის წესრიგში დგას აღნიშნულ პირთა ინტეგრაციის საკითხი, ამდენად, საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაცია ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებები და თავისუფლებები აღიარებულია როგორც შიდა სახელმწიფოებრივი აქტებით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

სამინისტროს დებულებით განსაზღვრული აქვს „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციითა და 1967 წლის ოქმით გათვალისწინებული, ლტოლვილთა უფლებების დაცვის, რეალიზებისა და გარანტიების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ასევე, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამინისტროს კომპეტენციას მიეკუთვნება საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და ამ პროგრამებში მათი ჩართვის ხელშეწყობა.

ინტეგრაციის პოლიტიკის დახვეწა და შესაბამისი მექანიზმის განვითარება საქართველოს მიგრაციის 2016-2020 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ამ კუთხით განსახორციელებელი საქმიანობები დეტალურად იყო გაწერილი ამავე სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულ საქმიანობებს მოიცავს 2018 წლის სამოქმედო გეგმაც.

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის კომპონენტი ადამიანის უფლებათა სამთავრობო სტრატეგიის და მისი 2018 წლის სამოქმედო გეგმის ნაწილსაც წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის გარანტირებულია სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია, რამდენადაც მათ აქვთ წვდომა ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სხვა სერვისებზე. თუმცა, დამატებითი სერვისების საჭიროება იკვეთება რიგ შემთხვევებში - ერთი მხრივ, აღნიშნული პროგრამები ვერ უზრუნველყოფს ყველა ასაკობრივი ჯგუფის ინტეგრაციის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი სამიზნე ჯგუფი საჭიროებს ხელშეწყობას ამ პროგრამებით სარგებლობისათვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ საქართველოში თავშესაფრის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით 2017 წელს შექმნა საგანმანათლებლო და ინფორმაციული გარემო ინტეგრაციის ცენტრის სახით. ცენტრი მდებარეობს ქ. თბილისში, ლიბანის ქუჩა #31-ში. ინტეგრაციის ცენტრი კეთილმოწყობილ და საჭირო ინვენტარით აღჭურვილ იქნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) ოფისის მიერ. ცენტრის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საგრანტო კონკურსში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საგანმანათლებლო და საკონსულტაციო სერვისების მიწოდებას ბენეფიციართათვის. აღნიშნული სერვისები გულისხმობს ქართული ენის სწავლებას, საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაცნობისა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი სასწავლო კურსების შეთავაზებას, ასევე, კონსულტირებას მათი უფლებების, სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებისა და სხვა საჭირო საკითხების შესახებ.

2017 წლის პროგრამის ფარგლებში ინტეგრაციის ცენტრს მომართა 135 საერთაშორისო დაცვის მქონე პირმა, საიდანაც 86 ბენეფიციარი (ქალი-26, კაცი-60) ჩაერთო ორ ნაკადად ქართული ენის შემსწავლელ (A1 და A2 დონე), სამოქალაქო განათლებისა და სოციალურ-კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბების კურსებში.

2017 წლის პროგრამის ფარგლებში, ქართული ენის სწავლება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით უზრუნველყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ (შემდგომში ჟვანიას სკოლა) გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან პარტნიორობით. 2018 წლის პროგრამის ფარგლებში, ინტეგრაციის ცენტრში ქართული ენის სწავლება უზრუნველყოფილი იქნება ჟვანიას სკოლის მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. ბენეფიციართათვის ენის შესწავლა ხელმისაწვდომი იქნება A1, A2 და B1 დონეებზე სპეციალურად გამოყოფილი მასწავლებლის მიერ.

წინამდებარე საგრანტო პროგრამა გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციაზე გრანტის გაცემას, რათა ორგანიზაციის მეშვეობით საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს ინდივიდუალური საჭიროებებიდან

გამომდინარე მიეწოდოთ ის სერვისები, რომელთა მიღებაც ხელს შეუწყობს მათი უფლებების რეალიზაციას, ახალი შესაძლებლობების გაჩენას, შედეგად კი, საზოგადოებაში მათ ღირსეულ და მდგრად ინტეგრაციას.

ბ) საგრანტო პროგრამის მიზანი

საგრანტო პროგრამის მიზანია საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, ისეთი სერვისების განვითარება, რომლებიც აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლებს დაეხმარება საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაბიჯების გადადგმაში.

აღნიშნულის მიზნის მიღწევის საშუალებად პროგრამა ისახავს რამდენიმე ამოცანას: უპირველეს ყოვლისა ქართული ენის შესწავლა, რაც უმნიშვნელოვანესია როგორც საზოგადოებასთან ყოველდღიური კომუნიკაციის წარმართვისათვის, ასევე სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის, განათლების მიღებისა თუ დასაქმების პროცესში. მნიშვნელოვანია საერთაშორისო დაცვის მქონე პირები გაეცნონ იმ ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ადათ-წესებსა და ჩვეულებებს, რომელში ცხოვრება და დამკვიდრებაც მოუწევთ. მნიშვნელოვანია მათ ჰქონდეთ ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო სერვისების, საბანკო სისტემის შესახებ, ჯანდაცვასთან, განათლებასთან, დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე და ა.შ. ასევე, საჭიროა ყველა მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლება თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ახალ საცხოვრებელ გარემოში არსებულ საზოგადოებრივ აქტივობებთან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სხვადასხვა სახელმწიფო სერვისზე საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წვდომის გაზრდა - მაქსიმალურად მარტივად და ეფექტურად სარგებლობა იმ სახელმწიფო სერვისებით, რომელთაც მათ საქართველო სთავაზობს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების, დასაქმებისა და კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეობის მინიჭების მიმართულებით.

წინამდებარე საგრანტო პროგრამის განხორციელების შედეგად, არსებული სამართლებრივი ბაზით ჩამოყალიბებულ სოციალ-ეკონომიკურ გარანტიებთან ერთად, საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის შეიქმნება ინტეგრაციის მხარდამჭერი დამატებითი მექნიზმი, რომელიც მყარ საფუძველს შექმნის ახალ საზოგადოებაში მათი დამკვიდრების პროცესისთვის.

გ) საგრანტო პროგრამის შედეგი

საგრანტო პროგრამის განხორციელების შედეგები აისახება შემდეგ მაჩვენებელში: საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამაში ჩაერთვება მინიმუმ 100 ბენეფიციარი.

ქართული ენის სასწავლო კურსის მეშვეობით ბენეფიციარები შეიძენენ ენის ცოდნის იმ დონეს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ გადადგან შემდგომი ნაბიჯები ინტეგრაციის პროცესში: გაუმარტივდეთ საზოგადოებასთან კომუნიკაცია, მიიღონ განათლება, დასაქმდნენ.

სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსის მეშვეობით ბენეფიციარები გაეცნობიან ქვეყნის ისტორიასა და კულტურას, ძირითად ტრადიციებსა და ადათ-წესებს, რომლებიც წარმოდგენას შეუქმნის მათ ქვეყნისა და საზოგადოების შესახებ.

სამოქალაქო განათლების კურსის ფარგლებში, საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს ეცოდინებათ სტატუსიდან გამომდინარე თავიანთი უფლება-მოვალეობები და ქვეყნის კანონმდებლობის ის მიმართულებები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მათი ყოველდღიური ცხოვრების, განათლების მიღების, ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვისა თუ სხვა თანმდევ პროცესებში.

ბენეფიციარებს გაეწევათ კონსულტაცია მათთვის საჭირო და საინტერესო ყველა საკითხის შესახებ.

დ) დაფინანსების ზღვრული ოდენობა:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საგრანტო პროგრამის N002-2018 ფარგლებში გასცემს 1 (ერთ) გრანტს, 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებებიდან.

ე) საგრანტო კონკურსში მონაწილეობა:

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ან მის ფილიალს, რომელიც დაინტერესებულია საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის საკითხით.

ვ) საგრანტო პროგრამის მიმართულებები და მათი ხანგრძლივობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საგრანტო წინადადებას დააფინანსებს ერთი მიმართულებით:

მიმართულება #	მიმართულების აღწერილობა	მიმართულების მოქმედების გეოგრაფიული არეალი	დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა	პროექტის ხანგრძლივობა
0100	**საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა**	**პროგრამა განხორციელდება ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა #31.**	**50 000 ლარი**	**12 თვე**

საგრანტო მიმართულების მიზანია გამარჯვებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ უზრუნველყოს ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირება და შემდეგი საგანმანათლებლო კურსების წარმართვა:

<u>ქართული ენის კურსი</u>

ქართული ენის სწავლებას უზრუნველყოფს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მასწავლებლის მიერ. ენის სწავლება მოხდება A1, A2 და B1 დონეებზე ბენეფიციართა საჭიროების შესაბამისად.

აღნიშნული კურსები ხელს შეუწყობს ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის ქართული ენის შესწავლას საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

<u>სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლება</u>

სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსი უნდა იყოს შემეცნებითი ხასიათის და მოიცავდეს ინფორმაციას საქართველოს ისტორიის და კულტურის, ძირითადი ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ. აღნიშნული კურსის შემუშავებისას უნდა იქნას გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა კულტურული და სოციალური თავისებურებები.

ასევე, უნდა მოხდეს საქართველოს ისტორიის სპეციალური კურსის ფორმირება ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქეობის მიღება ნატურალიზაციის გზით და შესაბამისად მოეთხოვებათ საქართველოს ისტორიის დადგენილ ფარგლებში ცოდნა.

<u>სამოქალაქო განათლების კუთხით ცნობიერების ჩამოყალიბება</u>

სამოქალაქო განათლების კურსი უნდა ფარავდეს საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლება-მოვალეობებს და საქართველოს კანონმდებლობის იმ საკითხებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მათი ყოველდღიური ცხოვრების, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური სფეროს შესახებ და სხვა.

ასევე, უნდა მოხდეს ეროვნული სამართლის სპეციალური კურსის ფორმირება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებისათვის, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქეობის მიღება ნატურალიზაციის გზით და შესაბამისად მოეთხოვებათ სამართლის ძირითადი პრინციპების დადგენილ ფარგლებში ცოდნა.

<u>საკონსულტაციო სერვისის შექმნა</u>

საკონსულტაციო სერვისის ჩამოყალიბების მიზანია საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის თავიანთი უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შესახებ სრული და ზუსტი

ინფორმაციის მიწოდება, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და ამის გათვალისწინებით უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა.

საგრანტო მიმართულების დეტალური აღწერილობა, სადაც განსაზღვრულია თითოეული სერვისის ფარგლებში ბენეფიციარის მომსახურებისათვის გრანტის მიმღების მიერ განსახორციელებელი შესაბამისი საქმიანობა, წარმოდგენილია საგრანტო პროგრამის დანართში (მიმართულების აღწერილობა).

4. საგრანტო წინადადების შეფასების კრიტერიუმები

საგრანტო წინადადების შეფასების კრიტერიუმებს ადგენს საგრანტო კომისია საგრანტო პროგრამის მიზნების შესაბამისად, შეფასების შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა საგრანტო პროგრამის მიზანთან და ამოცანებთან (აღნიშნულ საკითხზე კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში წარმოდგენილი პროექტი აღარ ფასდება, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს წარმოდგენილ პროექტს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით)	**შესაბამისობაშია**
	არ არის შესაბამისობაში
გადაწყვეტილება (ფასდება/არ ფასდება): _____	
კრიტერიუმი	**შეფასების მაქსიმალური ქულა**

წარმოდგენილი საგრანტო წინადადების ხარისხი **– არსებული მდგომარეობა** - რამდენად სწორად არის აღქმული და გააზრებული საგრანტო პროგრამითა და შესაბამისი მიმართულებით გათვალისწინებული საკითხის ირგვლივ არსებული მდგომარეობა; **– პროექტის მიზანი** - რამდენად პასუხობს დასახული მიზნები საგრანტო პროგრამის მიზნებს; – **პროექტის ღონისძიებების განხორციელების გზები** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები რამდენად ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან და თანხვედრაში დასახულ მიზნებთან; **– რისკები -** რამდენად რეალისტურად არის შეფასებული პროექტთან დაკავშირებული რისკები და რამდენად რელევანტურია რისკის შემცირების დასახული გზები და ღონისძიებები; **– პროექტის მოსალოდნელი შედეგები და პროექტის მდგრადობა** - რამდენად უზრუნველყოფს პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი შედეგები გრძელვადიან შედეგებისა და შესაბამისად დასახული მიზნის მიღწევას; **– ვადები** - პერიოდულობის მიხედვით რამდენად დროულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და რამდენად ქმნის საქმიანობის მთელი პროცესის ლოგიკურ ჯაჭვს.	**..... /50 ქულა** ...../10 ქულა ...../5 ქულა ...../10 ქულა ...../10 ქულა ...../5 ქულა ...../10 ქულა
ორგანიზაციის გამოცდილება – ორგანიზაციის გამოცდილება, მათ შორის, რელევანტურ სფეროში (ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ).	**...../10 ქულა**
ადამიანური რესურსი – პროექტის ხელმძღვანელის გამოცდილება პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში; – პროექტის სხვა ძირითადი თანამშრომლების გამოცდილება და ცოდნა სფეროსთან მიმართებით. (რამდენად რელევანტურია წარმოდგენილი ადამიანური რესურსი პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის).	**...../20 ქულა**
ხარჯვის დაგეგმვის ეფექტურობა – რამდენად რეალისტურია წარმოდგენილი ბიუჯეტის სტრუქტურა იმ	**...../20 ქულა**

შედეგების მისაღწევად, რომლებიც ასახულია საგრანტო წინადადებაში (მათ შორის პროექტის ადმინისტრირებისათვის განკუთვნილი თანხის ხარჯვა).	
ჯამი:	..... /100 ქულა

5. ანგარიშგება

შუალედური ანგარიშგება განხორციელდება ყოველი თვის ბოლოს, ხოლო საბოლოო ანგარიშგება - პროექტის დასრულების შემდეგ წინასწარ განსაზღვრული ფორმის მიხედვით.

6. საგრანტო პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

საგრანტო პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირები 18 წელს ზევით. საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები არ ვრცელდება „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის N15 დადგენილებით განსაზღვრულ პირთა კატეგორიაზე, კერძოდ, 18 წლამდე ასაკის საერთაშორისო დაცვის მქონე პირებზე, ასევე თავშესაფრის მაძიებლებზე.

7. დაფინანსების წყარო

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებები.

8. მნიშვნელოვანი ვადები:[1]

საგრანტო კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნება	არაუგვიანეს 2018 წლის 23 აპრილისა
დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში	2018 წლის 26 აპრილი
კითხვების წარდგენის ბოლო ვადა	2018 წლის 3 მაისი
კითხვებზე პასუხის გაცემის ბოლო ვადა	2018 წლის 7 მაისი

[1] გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საგრანტო განაცხადების შეფასების, გამარჯვებულის გამოცხადებისა და ხელშეკრულების გაფორმების მითითებული თარიღები შეიძლება შეიცვალოს.

საგრანტო განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა	2018 წლის 10 მაისი 18:00 საათი
შემოსული საგრანტო განაცხადების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და თანდართული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა	2018 წლის 11 მაისი
საგრანტო განაცხადში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა	2018 წლის 14 მაისი 18:00 საათი
საგრანტო განაცხადების შეფასება	2018 წლის 15-16 მაისი
გადაწყვეტილების გამოქვეყნება	არაუგვიანეს 2018 წლის 18 მაისისა
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება	2018 წლის 31 მაისი

საგრანტო პროგრამის მიმართულების აღწერილობა

1. საგრანტო პროგრამის მიმართულება N0100 - საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა

დაფინანსების ზღვრული ოდენობა - **50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.**

პროექტის ხანგრძლივობა **12 თვე.**

N002-2018 საგრანტო პროგრამის 0100 მიმართულება განხორციელდება ქ. თბილისში და საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს სთავაზობს შემდეგ საინტეგრაციო მომსახურებას: ქართული ენის შესწავლა, სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო განათლების კუთხით ცნობიერების ჩამოყალიბება, საკონსულტაციო-საინფორმაციო სერვისი.

მიმართულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გრანტის მიმღებმა ორგანიზაციამ, პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე არანაკლებ 100 პირის ჩართვა ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამაში.

საინტეგრაციო პროგრამა უნდა შედგებოდეს ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურსებისგან:

<u>ქართული ენის კურსი</u>

ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარებისთვის ქართული ენის სწავლებას უზრუნველყოფს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მასწავლებელის მიერ. ენის სწავლება მოხდება A1, A2 და B1 დონეებზე ბენეფიციართა საჭიროების შესაბამისად.

გრანტის მიმღები ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ინტეგრაციის ცენტრში ქართული ენის სწავლების პროცესის ადმინისტრირება სასწავლო პროცესში ბენეფიციართა ჩართულობის/მოსწრების მონიტორინგის ჩათვლით.

<u>სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსი</u>

სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსი უნდა იყოს შემეცნებითი ხასიათის და მოიცავდეს ინფორმაციას საქართველოს ისტორიის, კულტურის, ძირითადი ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ. აღნიშნული კურსი სასურველია შემუშავდეს შემდეგი ლიტერატურის გათვალისწინებით:

- საქართველოს ისტორია (4 ტომეული), ავტ. ივ. ჯავახიშვილი;
- საქართველოს კულტურის ისტორია, ავტ. ს. სიგუა;
- ქართული ფოლკლორი, ავტ. ზ. კიკნაძე;
- საქართველო - ტურიზმისა და კურორტების ქვეყანა, ავტ. ნ. სააკაშვილი, თ. ჩილინგარაშვილი;
- ქართული სამზარეულო, გამომცემ. „პალიტრა L";
- ქართული ღვინის გზამკვლევი, გამომცემ. „პალიტრა"
- სხვა შესაბამისი ლიტერატურა.

ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წარმოშობის ქვეყნის ისტორიული, **კულტურული და სოციალური თავისებურებები.**

სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსის სწავლების განმახორციელებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ **მოთხოვნებს**: განათლება - უმაღლესი; სწავლების განმახორციელებელ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გრანტის მიმღებმა პროექტის მანძილზე უნდა უზრუნველყოს საქართველოს ისტორიის სპეციალური კურსის ფორმირება და საჭიროების შემთხვევაში შეთავაზება ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე მიენიჭოთ საქართველოს მოქალაქეობა და ამავე მუხლის 1 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად მოეთხოვებათ საქართველოს ისტორიის დადგენილ ფარგლებში ცოდნა.

*(განმცხადებელმა საგრანტო განაცხადში უნდა წარმოადგინოს **კურსების** კონცეფცია, სწავლების მიმართულებები, თემატიკა, მასალა და ა.შ., რაც სრულად შექმნის წარმოდგენას სწავლების პროცესის შესახებ)*

<u>**სამოქალაქო განათლების კურსი**</u>

სამოქალაქო განათლების კურსი უნდა ფარავდეს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში იმ საკითხებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ყოველდღიური ცხოვრების, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური სფეროს შესახებ და სხვა. ასევე, ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარები უნდა გაეცნონ ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ.

განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული კურსი უნდა ეფუძნებოდეს სულ მცირე შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საქართველოს კონსტიტუცია;

- „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „უცხოელთა და მოქალაქეების არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“;
- მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ასევე სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (მათ შორის განათლების მიღების, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხებში).

სამოქალაქო განათლების კურსის სწავლების განმახორციელებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: განათლება - უმაღლესი; სწავლების განმახორციელებელ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გრანტის მიმღებმა პროექტის მანძილზე უნდა უზრუნველყოს ეროვნული სამართლის სპეციალური კურსის ფორმირება და საჭიროების შემთხვევაში შეთავაზება ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე მიენიჭოთ საქართველოს მოქალაქეობა და ამავე მუხლის 1 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად მოეთხოვებათ სამართლის ძირითადი პრინციპების დადგენილ ფარგლებში ცოდნა.

*(განმცხადებელმა საგრანტო განაცხადში უნდა წარმოადგინოს **კურსების** კონცეფცია, სწავლების მიმართულებები, თემატიკა, მასალა და ა.შ., რაც სრულად შექმნის წარმოდგენას სწავლების პროცესის შესახებ).*

<u>საკონსულტაციო სერვისი</u>

საკონსულტაციო სერვისის ჩამოყალიბების მიზანია საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის თავიანთი უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და ამის გათვალისწინებით უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა.

საკონსულტაციო სერვისის საშუალებით ბენეფიციარებს ხელი უნდა შეეწყოთ სხვადასხვა სახელმწიფო სერვისით სარგებლობაში. გრანტის მიმღებმა ბენეფიციარებს დახმარება უნდა გაუწიოს საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და პროცედურული საკითხების გავლაში შემდეგი მიმართულებებით:

- **განათლება** (სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი) - პროგრამების ხელმისაწვდომობა, შესაბამისი დაწესებულებების მოძიება და საჭიროების შემთხვევაში მათთან კომუნიკაციის წარმართვა; საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარების გაწევა და სხვა;
- **ჯანდაცვა, სოციალური დაცვა** - ინფორმირება იმ ჯანდაცვის და სოციალურ სახელმწიფო პროგრამებზე, რომლებიც ვრცელდება სამიზნე ჯგუფზე; შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მოძიება, საჭიროების შემთხვევაში მათთან კომუნიკაციის წარმართვა და სხვა;
- **დასაქმება** - ინფორმირება დასაქმების ხელშეწყობის იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლებიც ვრცელდება სამიზნე ჯგუფზე. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურების გავლაში დახმარება; დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ბენეფიციართა კვალიფიკაციისა და უნარების შესაბამისი ვაკანტური სამუშაო ადგილების მოძიება, ბენეფიციართათვის შეთავაზება და სხვა;
- **გადაადგილება** - ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გადაადგილების საშუალებებთან და შესაძლებლობებთან, ასევე სავიზო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება და სხვა;
- **ნატურალიზაცია** - ინფორმაციის მიწოდება ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობების, ვადებისა და პროცედურების შესახებ და სხვა;
- **სახელმწიფო სტრუქტურებთან** და **სასამართლოსთან** ხელმისაწვდომობა;
- ყველა სხვა საკითხი, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღება საჭიროა საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის საქართველოში ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესში.

საკონსულტაციო სერვისის მიწოდების პროცესში საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თუ დაწესებულებებთან კომუნიკაცია.

კონსულტაციის გამწევ პირს სასურველია ჰქონდეს კონსულტაციის გაწევის გამოცდილება.

(განმცხადებელმა საგრანტო განაცხადში უნდა წარმოადგინოს ბენეფიციარისთვის სერვისის გაწევის კონცეფცია).

სამიზნე ჯგუფის ინფორმირება

- განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სამიზნე ჯგუფის ინფორმირებისათვის განსახორციელებელი აქტივობების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.

განმცხადებელმა, საგრანტო წინადადების შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოს:

- ✓ *ინტეგრაციის ცენტრის შენობა სრულად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და ტექნიკით;*
- ✓ *გრანტის გამცემი უზრუნველყოფს ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომუნალური, უსაფრთხოებისა (დაცვა, სიგნალიზაცია) და დასუფთავების ხარჯების სრულად ანაზღაურებას;*
- ✓ *ცენტრში უზრუნველყოფილი იქნება თარჯიმნის მომსახურება;*
- ✓ *გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსების განხორციელება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებით;*
- ✓ *ბენეფიციართა სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ, საინტეგრაციო პროგრამა ასევე უნდა მოიცავდეს ბენეფიციართა მიერ მიღებული ცოდნის და პროგრამის მიზნების მიღწევის შეფასების მეთოდიკას.*

გრანტის სახით გაცემული თანხიდან მინიმუმ **40 000 (ორმოცი ათასი) ლარი** უნდა მოხმარდეს ბენეფიციარების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფას და მასთან დაკავშირებულ აქტივობებს, ხოლო პროექტის ბიუჯეტის დანარჩენი თანხა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადმინისტრირებისათვის.